დამტკიცებულია
სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის
2021 წლის 10 თებერვლის №10 ბრძანებით

სსიპ კასპის კოლეჯის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში წესი) შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მომქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების, ევროსაბჭოსა და იუნესკოს ეგიდით შესაბამისი პროფილის ევროპული ასოციაციებისა და ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტებისა და დაწესებულების წესდების საფუძველზე.
1.2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებასა და შეწყვეტასთან, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის განხორციელებასთან, პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან, კვალიფიკაციის მინიჭებისა და ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები

2.1. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
2.2. პირი, რომელსაც აქვს:

- სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დაიშვება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
- სულ მცირე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

მუხლი 3. აპლიკანტის რეგისტრაცია და ტესტირება/შერჩევა

3.1. აპლიკანტი არის პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ დაშვების წინაპირობებს, პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია წინამდებარე წესით დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც დაწესებულება ახორციელებს.

3.2. დაწესებულება აპლიკანტთა მიღებას აცხადებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) მიერ დადგენილ ვადებში სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში მართვის სისტემა) სპეციალური პროგრამის გამოყენებით.
3.3. დაწესებულება ცალკეულ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე დაშვებისას წინაპირობებთან აპლიკანტის შესაბამისობას განსაზღვრავს პროფესიული ტესტირების (შემდგომში ტესტირება)/შერჩევის მეშვეობით.
3.4. ტესტირება არის სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) მიერ ორგანიზებული ტესტირება, ტესტირების ალტერნატიული წესით ჩატარება, ასევე დაწესებულების მიერ ჩატარებული შერჩევა.
3.5. ტესტირებაზე რეგისტრაციისათვის აპლიკანტი გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს რესურსცენტრს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული ფორმით, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.
3.6. წინამდებარე მუხლის 3.5. პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადები დგინდება მინისტრის ბრძანებით.
3.7. აპლიკანტს რეგისტრაციის დროს უფლება აქვს მიუთითოს არაუმეტეს 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებზეც განსაზღვრულია პროფესიული უნარების საერთო ტესტის ტიპი და შესაბამისი საგანი/საგანთა ჯგუფი. აპლიკანტს უფლება აქვს ტესტირებაზე ჩააბაროს პროფესიული უნარების მხოლოდ ერთი ტესტის ტიპი და შესაბამისი საგანი/საგანთა ჯგუფი.
3.8. ტესტირება ტარდება წელიწადში ერთხელ მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული განრიგის შესაბამისად. ფორსმაჟორის, ტესტირების ჩატარების დროს ისეთი დაბრკოლების არსებობის შემთხვევაში, რაც გამოწვეული იყო მართვის სისტემის/ცენტრის ბრალეულობით ან სხვა გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ცენტრის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ტესტირების ჩატარების ახალი ვადა და ადგილი.
3.9. ტესტირება მიმდინარეობს ცენტრის დირექტორის ბრძანებით დადგენილი პროცედურით. ტესტირებისთვის გამოყოფილ დროს ადგენს ცენტრი.
3.10.ტესტირებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით რეგულირდება პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით.
3.11.იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მეტია იმ აპლიკანტთა რაოდენობაზე, ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის უფლების მოპოვება ხდება შერჩევის საფუძველზე.
3.12.დაწესებულება შერჩევას ატარებს დაწესებულების დირექტირის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში და შერჩევის თარიღს, დროსა და ადგილს ატყობინებს მართვის სისტემას რეგისტრაციის დასრულებიდან 2 დღის ვადაში.
3.13.დაწესებულება შერჩევის პროცედურას ახორციელებს გასაუბრების მეშვეობით, რომელსაც ატარებს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი საგამოცდო კომისია.
3.14.წინამდებარე მუხლის 3.13. პუნქტით განსაზღვრული საგამოცდო კომისიის შემადგენლობა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ.
3.15.შერჩევის შედეგები ფორმდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე შერჩევის პროცესის დასრულებისთანავე.
3.16.დაწესებულება შერჩევის პროცესის დასრულებიდან 2 დღის ვადაში უზრუნველყოფს შერჩევის შედეგების ასახვას მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში, ხოლო აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას კი პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს, წინამდებარე წესის მე-4 მუხლის 4.9. პუნქტით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 4. ჩარიცხვის პროცედურა

4.1. ცენტრი, ტესტირებიდან 7 დღის ვადაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით ქმნის და ამტკიცებს აპლიკანტთა რეიტინგულ სიებს თითოეული დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

4.2. რეიტინგულ სიებში აპლიკანტების განაწილება ხდება რეგსტრაციისას მათ მიერ არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და აპლიკანტის მიერ მიღებული ქულის/ქულების, ასევე წინამდებარე მუხლის 4.3. პუნქტით გათვალისწინებული კოეფიციენტის მიხედვით.

4.3. რეიტინგულ სიებში აპლიკანტთა ადგილის განსაზღვრის მიზნით, მათ მიერ ტესტირებაში მიღებული ქულა/ქულების ჯამი მრავლდება რეგისტრაციის დასრულების მომენტისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღების სტატუსისა და აპლიკანტის ასაკის შესაბამის კოეფიციენტზე შემდეგი წესით:

- 15-19 წელი - 2;
- 20-25 წელი - 1.5;
- 26-28 წელი - 1.3;
- 29 წელი და ზევით – 1.

4.3.1. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მის მიერ მიღებული ჯამური ქულა მრავლდება კოეფიციენტზე – 1.2.

4.3.2. წინამდებარე მუხლის 4.3. პუნქტით გათვალისწინებულ ასაკობრივ კოეფიციენტთან ერთად წინამდებარე მუხლის 4.3.1. პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში აპლიკანტის მიერ მიღებული ქულა მრავლდება იმ კოეფიციენტზე, რომელიც უფრო მაღალია.

4.4. დამტკიცებიდან 2 დღის ვადაში რეიტინგული სიების ელექტრონული ვერსია მიეწოდება დაწესებულბას და მართვის სისტემის. მართვის სისტემას რეიტინგულ სიებთან ერთად მიეწოდება ტესტირების შედეგებიც.

4.5. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, რეიტინგული სიების დამტკიცების შემდეგ იგი ვალდებულია, მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადაში, მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში აირჩიოს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთი და დაწესებულებაში წარადგინოს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ მოთხოვნილი საბუთები (საბუთების დაწესებულებაში წარგდენის ვადები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით). აღნიშნულს აპლიკანტი ახორციელებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მოიპოვა როგორც ტესტირების, ასევე დაწესებულების მიერ ჩატარებული შერჩევის შედეგად.

4.6. აპლიკანტმა, დაწესებულებაში ჩასარიცხად უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- განცხადება დირექტორის სახელზე;
- ერთი ცალი ფოტოსურათი 3x4;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ასლი. უცხო ქვეყნის საგანმანათლელო დოკუმენტის შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პასპორტი/პირადობის მოწმობა (არასრულწლოვნის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის პირადობის მოწმობა).

4.7. დაწესებულება წინამდებარე მუხლის 4.6. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში დაწესებულების დირექტორის ბრძანების

საფუძველზე რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან.
4.8. წინამდებარე მუხლი 4.7. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს/მხარდამჭერს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.
4.9. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს დაწესებულება წინამდებარე მუხლი 4.7. პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემიდან მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში ასახავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში.
4.10. თუ აპლიკანტთა ჩარიცხვის შემდეგ დაწესებულებას დარჩა ვაკანტური ადგილები, მართვის სისტემა უზრუნველყოფს მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ვაკანტური ადგილების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას იმ აპლიკანტებისათვის, რომელთაც ვერ მოიპოვეს დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება ან მათ მიერ რეგისტრაციისას მითითებულ არცერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არ გააკეთეს არჩევანი.
4.11. წინამდებარე მუხლის 4.10. პუნქტით გათვალისწინებულ აპლიკანტებს უფლება აქვთ, მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში აირჩიონ მათ მიერ რეგისტრაციისას მითითებული ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც დარჩენილია ვაკანტური ადგილები და მიმართონ შესაბამის დაწესებულებებს ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხვის მოთხოვნით. დაწესებულება აღნიშნულ აპლიკანტებს რიცხავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარჩენილი ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.
4.12. ტესტირების შედეგების საფუძველზე, თუ ორ ან ორზე მეტ აპლიკანტს ერთსა და იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოსახვედრად ჩასაბარებელ საგნებში მოპოვებული აქვს თანაბარი საკონკურსო ქულა და მათი დაწესებულებაში ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილთა რაოდენობას, დაწესებულების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.
4.13. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლის 4.12. პუნქტის გათვალისწინებით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს დაწესებულების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრულ მისაღებ პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მომდევნო მიღებისათვის დადგენილ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტს.
4.14. წინამდებარე მუხლის 4.12. და 4.13. პუნქტებით დადგენილი წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ დაწესებულება თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩარიცხვისას გადააჭარბებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის დადგენილ პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობას.

მუხლი 5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის რეგისტრაცია, ტესტირება და ჩარიცხვა

5.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი არის ინტელექტუალური და განვითარების დარღვევის ან/და სენსორული (სმენისა და მხედველობის) ან/და ქცევითი და ემოციური დარღვევის ან/და ფიზიკური შეზღუდვის მქონე აპლიკანტი, რომლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დასტურდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ტესტირების ალტერნატიული წესით ჩატარებას.

5.2. დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაწესებულება თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ აპლიკანტთა რაოდენობის არანაკლებ 15%-ს განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის.

5.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის ალტერნატიული წესით ტესტირების საჭიროება და აღნიშნულ ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება წარმოიშობა მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე და მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვას.

5.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აპლიკანტი მისთვის სასურველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით რეგისტრირდება პირადად სპეციალურ ვებგვერდზე ან მიმართავს რესურსცენტრს. რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

5.5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს სპეციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის დასრულებისთანავე ეცნობება წინამდებარე მუხლის 5.7. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წინამდებარე მუხლის 5.4. პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის გავლიდან 4 სამუშაო დღის ვადაში დაწესებულებაში წარდგენის აუცილებლობა. რესურსცენტრი კი აღნიშნულს თავად განუმარტავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს.

5.6. წინამდებარე მუხლის 5.4. პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის გავლიდან 4 სამუშაო დღის ვადაში მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, რომლითაც დასტურდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის სპეციალური/დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროება, ელექტრონული ფორმით ეგზავნება დაწესებულებას.

5.7. წინამდებარე მუხლის 5.4. პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის გავლიდან 4 სამუშაო დღის ვადაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აპლიკანტი ვალდებულია, დაწესებულებაში წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამოწმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;
- სენსორული (სმენისა და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:
  - აუდიოგრამა (სმენის დარღვევის შემთხვევაში);
  - ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევის შემთხვევაში);
  - შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობისას;
  - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის საგამოცდო ცენტრები განთავსდება იმ დაწესებულებებში, რომლებშიც დარეგისტრირდნენ ისინი და დადგენილ ვადაში წარადგინეს წინამდებარე წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

5.9. იმ საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, სადაც განთავსებულია საგამოცდო ცენტრი, ბრძანების საფუძველზე უზრუნველყოფს (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირებისათვის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ ვადებში):

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების განრიგს და ადგენს ტესტირების მაქსიმალურ ხანგრძლივობას;
- წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გაცნობას სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის.

5.9.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების უზრუნველსაყოფად, იმ საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, სადაც

განთავსებულია საგამოცდო ცენტრი, ბრძანებით უზრუნველყოფს საგამოცდო კომისიის/კომისიების შექმნას.
5.10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა გადანაწილებას დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე უზრუნველყოფს მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია წინამდებარე მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში.
5.11. წინამდებარე მუხლის 5.10. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადანაწილების მიზნით, დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ბრძანებას.
5.12. დაწესებულების დირექტორი წინამდებარე მუხლის 5.11. პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემიდან 5 დღის ვადაში ბრძანების საფუძველზე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადებს; აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ კი, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც რიცხავს შესაბამის აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ჩარიცხულ აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან აფორმებს ხელშეკრულებას.
5.13. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები, დაწესებულებას წინამდებარე მუხლის 5.12. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში შეაქვს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში.
5.14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირებისა და ჩარიცხვის პროცედურებთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით რეგულირდება პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

6.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესაჩერებლად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
6.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
6.2.1. პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);
6.2.2. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
6.2.3. სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომელიც შეუთავსებელია სასწავლო პროცესთან;
6.2.4. პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა ან ოჯახური მდგომარეობა;
6.2.5. ორსულობისა და ახალშობილის მოვლა და სხვა.
6.3. პირადი განცხადების საფუძველზე პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს აღნიშნული პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწვეტის საფუძველი.
6.4. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
6.5. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.

6.6. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
6.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ხოლო შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოქმედებს წინამდებარე წესის მე-9 მუხლი.
6.8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადაა 3 წელი.
6.9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
6.10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

7.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.
7.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
7.2.1. პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება;
7.2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
7.2.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 3 წლის ვადით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
7.2.4. მიმდინარე თვეში არასაპატიო მიზეზით საკონტაქტო საათების 30%-ზე მეტი საათის გაცდენა (საპატიოდ ითვლება არაბრალეულად გაცდენილი საათი – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ოჯახური მდგომარეობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო). პროფესიულ სტუდენტს საპატიოდ არ ჩაეთვლება მიმდინარე თვეში გაცდენილი საკონტაქტო საათების 50%-ზე მეტი; წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თითოეულ შემთხვევაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე.
7.2.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება წინამდებარე წესით დადგენილი პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის შესაბამისად;
7.2.6. გარდაცვალება;
7.2.7. დაწესებულების შინაგანაწესით და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.
7.3. დაწესებულება ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს, სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის სპეციფიკის გათვალისწინებით, აცნობოს პირს (კანონიერი წარმომადგენელს/მხარდამჭერს) აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება.
7.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება.
7.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება დაწესებულების დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა

მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. მობილობა

8.1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.
8.2. პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება.
8.3. მობილობა არსებობს ორი სახის: გარე მობილობა და შიდა მობილობა (შემდგომში - მობილობა).
8.4. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.
8.5. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
8.6. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
8.7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
8.8. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
8.9. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი განცხადებით მიმართავს მიმღებ დაწესებულებას, ხოლო შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი განცხადებით მიმართავს იმავე დაწესებულებას. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.
8.10. წინამდებარე მუხლის 8.9 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები, რომელთა საფუძველზეც დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლის შედეგების დადასტურებისა და მოდულის ცალკეული შედეგების დადასტურების თავსებადობის საკითხი. აღნიშნული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, მასში მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა (საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას წინამდებარე წესის მიხედვით).
8.11. დაწესებულება უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლებისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

8.12. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის შემთხვევაში წინამდებარე მუხლის 8.10. პუნქტით გათვალისწინებული ოქმის საფუძველზე დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. ასევე შიდა მობილობის შემთხვევაში დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა, მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

8.13. დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

8.13.1. დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

8.13.2. დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

8.13.3. მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.14. მობილობის წესით მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია პროფესიულ სტუდენტთა მიღება.

8.15. მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.

8.16. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და მოდულის/მოდულების შემუშავების განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით წინამდებარე წესის შესაბამისად. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ.

8.17. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაწესებულება წერილობით ატყობინებს აღნიშნულს პროფესიულ სტუდენტს და განუმარტავს წინამდებარე მუხლის 8.16. პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას.

მუხლი 9. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

9.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

9.1.1. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

9.1.2. დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას.
9.1.3. დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.
9.2. წინამდებარე მუხლის 9.1. პუნქტის პირველი და მესამე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება.
9.3. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:
9.3.1. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებასთან დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
9.4. იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს წინამდებარე მუხლის 9.1. პუნქტით და 9.3. პუნქტით გათვალისწინებულ მექანიზმებზე, დაწესებულება განახორციელებს შესაბამისი სერტიფიკატისა და სერტიფიკატის დანართის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საფუძველზე.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

10.1. პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
10.2. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.
10.3. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა;
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

10.4. განმსაზღვრელ შეფასებამდე 3 სამუშაო დღით ადრე შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიული სტუდენტების დეტალურ ინფორმირებას შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ.
10.5. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციებით გათვალისწინებულ კრიტერიუმთა საფუძველზე განიხილავს მის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობასა და ვალიდაციის შემთხვევაში ადასტურებს მას.

10.5.1. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია ხორციელდება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული ქულობრივი ცხრილის მიხედვით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. აღნიშნულ ცხრილს შევსების შემდგომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელს აწერს ვალიდაციაში მონაწილე ყველა პირი.

10.5.2. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში.

10.6. მოდულის დასრულების შემდგომ, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდული) მოდულის განმახორციელებელი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმებით ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს და ახდენს შესაბამისი პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების ინფორმირებას.

10.7. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის საჩივრის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში საჩივარის რეგისტრაციიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში საქმისწარმოების მენეჯერი ამოწმებს აღნიშნული საჩივრის შესაბამისობას საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ მოთხოვნებთან (თუ კი საჩივარი შეუსაბამოა აღნიშნულ მოთხოვნებთან, საქმის წარმოების მენეჯერი წერილობით განუსაზღვრავს საჩივრის ავტორს 5 დღის ვადას ხარვეზის გამოსწორებისათვის), რის შემდგომაც დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას. განხილვის დაწყების შესახებ დაუყონებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში.

10.7.1. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული სტუდენტი (პროფესიული სტუდენტი არ უნდა იყოს სააპელაციო განაცხადის წარმდგენი პროფესიული სტუდენტის თანაჯგუფელი), დარგის სპეციალისტი - პროფესიული განათლების მასწავლებელ(ებ)ი (პროფესიული განათლების მასწავლებელის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი). კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან აფასებს პროფესიულ სტუდენტს განმსაზღვრელი შეფასებით, რომლის შედეგების საფუძელზე საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

10.8. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით.

10.9. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მართვის მენეჯერს.

10.10. შესრულების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულების მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად.

10.11. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.
10.12. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
10.13. სწავლის შედეგების დადასტურება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.
10.14. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით და ეცნობება თითოეულ პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურად ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
10.15. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კი გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.
10.16. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ითვისებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია, მოითხოვოს სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.
10.17. დაწესებულების ფარგლებში იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს შეფასების სისტემის მონიტორინგს და აფასებს მის ეფექტურობას.
10.18. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის მექანიზმებით.

მუხლი 11. ფორმალური განათლების აღიარება

11.1. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს დაწესებულება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №№121/ნ ბრძანებით დამტკიცებული "ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესისა" და წინმდებარე წესის შესაბამისად.
11.2. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:
11.2.1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;
11.2.2. მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
11.3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. თუ პირის მიერ გავლილი მოდულის კრედიტები იდენტურია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულისა, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.
11.4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღების დღიდან.
11.5. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
11.5.1. დაწესებულებისთვის განცხადების წარდგენა;

11.5.2. კომისიის შექმნა დაწესებულების დირექტორიდ ბრძანების საფუძველზე;
11.5.3. კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;
11.5.4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;
11.5.5. დაწესებულების დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემა კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.
11.6. დაწესებულება უზრუნველყოფს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობას შემდეგნაირად:
11.6.1. წინამდებარე წესი განთავსებულია საჯაროდ, დაწესებულების ვებ-გვერდზე;
11.6.2. პირის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთანავე მას დაწვრილებით განემარტება ფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობები, აღნიშნულის საფუძვლები და შესაბამისი პროცედურები და წესები.
11.7. განმცხადებლის მიერ დაწესებულებისათვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
11.7.1. დაწესებულების დასახელებას;
11.7.2. განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;
11.7.3. განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;
11.7.4. განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;
11.7.5. განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;
11.7.6. მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;
11.7.7. განმცხადებლის ხელმოწერას;
11.7.8. განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.
11.8. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთვოდეს:
11.8.1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
11.8.2. თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
11.8.3. ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა წინამდებარე მუხლის 11.9. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
11.9. წინამდებარე მუხლის 11.7. პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა წინამდებარე მუხლის 11.9. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
11.10. დაწესებულება არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს წინამდებარე მუხლის 11.7.1. პუნქტის მე-3 ქვეპუქნტითა და 11.8. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე დაწესებულების მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.
11.11. დაწესებულების სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას წინამდებარე მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი დაწესებულებას არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, დაწესებულება განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს

შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნულის შესახებ დაწესებულება ახდენს განმცხადებლის ინფორმირებას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
11.12. დაწესებულების მიერ წინამდებარე მუხლის 11.10. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.
11.13. თუ დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ბრძანებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
11.14. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ წინამდებარე მუხლის 11.5 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე შექმნილი კომისია (შემდგომში - კომისია) უზრუნველყოფს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.
11.15. კომისია შედგება 3 წევრისგან. კომისიის შემადგენლობაში შედის:
11.15.1. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი;
11.15.2. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი;
11.15.3. დაწესებულების იურისტი.
11.16. დაწესებულებას უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.
11.17. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
11.18. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
11.19. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
11.20. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
11.21. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
11.22. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა წინამდებარე მუხლის 11.2. პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.
11.23. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
11.23.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
11.23.2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
11.24. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
11.25. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.

11.26. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებულების დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
11.26.1.დაწესებულების დასახელება;
11.26.2. განმცხადებლის ვინაობა;
11.26.3. იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
11.26.4.აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
11.26.5.გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
11.26.6. გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.
11.27. დაწესებულება ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს დირექტორის ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
11.28. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის საჩივრის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში საჩივარის რეგისტრაციიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში საქმისწარმოების მენეჯერი ამოწმებს აღნიშნული საჩივრის შესაბამისობას საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ მოთხოვნებთან (თუ კი საჩივარი შეუსაბამოა აღნიშნულ მოთხოვნებთან, საქმის წარმოების მენეჯერი წერილობით განუსაზღვრავს საჩივრის ავტორს 5 დღის ვადას ხარვეზის გამოსწორებისათვის), რის შემდგომაც დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ კვირას. განხილვის დაწყების შესახებ დაუყონებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში.
11.29. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, დარგის სპეციალისტი - პროფესიული განათლების მასწავლებელ(ებ)ი (პროფესიული განათლების მასწავლებელის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი). კომისია საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის საჩივარზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ ფოსტის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
11.30. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების რეესტრის წარმოების სპეციალისტის მიერ.
11.31. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
11.32. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.
11.33. პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მუხლი 12. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

12.1. კვალიფიკაცია არის დაწესებულების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით.
12.2. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აღიარებულ უნდა იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგი.
12.3. პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის დადასტურების შემდეგ მისი განათლების აღიარებასა და კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს დაწესებულების დირექტორი ბრძანებით სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე.
12.4. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად პირს ენიჭება შესაბამისად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის კვალიფიკაცია.
12.5. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი (მოთხოვნის შემთხვევაში - დიპლომის დანართი).
12.6. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოთხოვნის შემთხვევაში დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე მიეცემა სერტიფიკატი (თუ კი ზემოაღნიშნული მოთხოვნა ითვალისწინებს - სერტიფიკატის დანართიც), რომლითაც დასტურდება მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობისას დაწესებულება, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცემს ცნობას აღნიშნული მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.
12.7. სერტიფიკატის დუბლიკატი გაიცემა იმ პირზე, რომლის სერტიფიკატი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.
12.8. დიპლომის/დიპლომის დუბლიკატის, დიპლომის დანართისა და სერთიფიკატის/სერთიფიკატის დუბლიკატის, სერთიფიკატის დანართის გაცემასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი რეგულირდება დაწესებულების საქმისწარმოების წესითა და მოქმედი კანონმდებობლით.
12.9. პროფესიული განათლების აღიარებასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დადგენილი წესით ინახება დაწესებულებაში შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის.

მუხლი 13. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

13.1. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებას მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.
13.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

13.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათის გათვალისწინებით.
13.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის.
13.5. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს: მოდულის/მოდულების სტატუსი; მოდულის/მოდულების დასახელება; მოდულზე დაშვების წინაპირობა; კრედიტების რაოდენობა; სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა და კრედიტების გადანაწილება აღნიშნულ პერიოდზე; შეფასების ფორმები და პირობები; მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები და სხვა.
13.6. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება წარმოიქმნება:
13.6.1. იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებაში სწავლობს სსსმ/შშმ პირი, რომელიც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს სწავლის შედეგების დადასტურებას;
13.6.2. მობილობის შემთხვევაში, როდესაც არსებობს სწავლის შედეგებს შორის განსხვავება;
13.6.3. სტატუსშეჩერებული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის შემთხვევაში;
13.6.4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.
13.7. წინამდებარე მუხლის 13.6. პუნქტის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული მასწავლებელი მიმართავს დაწესებულების დირექტორს, რის შემდგომაც სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ განათლების მასწავლებელთან და შესაბამისი სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის ასისტენთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
13.8. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის და მის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
13.9. წინამდებარე მუხლის 13.6. პუნქტის მეორე, მესამე და მეოთხე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, პროფესიული სტუდენტის აქტიური მონაწილეობით, ხდება ინდივიდუალური საჭიროების/საჭიროებების დადგენა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.
13.10. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი.
13.11. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები.
13.12. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს უწევს და აფასებს დაწესებულებაში შექმნილი შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.

მუხლი 14. სასწავლო პროცესი

14.1. დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს დაწესებულების მისამართზე: ქალაქი კასპი, აღმაშენებლის ქუჩა, ხოლო საწარმოო პრაქტიკა მიმდინარეობს დაწესებულების პარტნიორი საწარმოების/ორგანიზაციების ტერიტორიაზე.
14.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების ზუსტი თარიღი და ასევე დასვენების პერიოდი განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
14.3. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ადგენს სასწავლო განრიგს (ცხრილს), ხოლო მოდულის განხორციელების კალენდარულ გეგმას მოდულის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც განიხილავს და ადასტურებს მას.
14.4. სასწავლო განრიგის განთავსება ხდება დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზე.
14.5. სასწავლო განრიგში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება, რასაც ახორციელებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.
14.6. დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ყოველდღიურად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა.
14.7. დაწესებულებაში საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსით„ განსაზღვრულ უქმე დღეებში არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.
14.8. საკონტაქტო საათი განისაზღვრება 1 ასტრონომიული საათით (60 წუთი), საიდანაც უშუალოდ სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს, დასვენების ხანგრძლივობა-10 წუთს.
14.9. დღის განმავლობაში საკონტაქტო საათების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 8 საათი.

მუხლი 15. ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა

15.1. დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის).
15.2. ინკლუზიური პროფესიული განათლება არის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.
15.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს:

- სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას;
- სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის წინამდებარე წესის მე-13 მუხლი 13.8. პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალის სასწავლო გეგმის შედგენას;
- საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას.

მუხლი 16. დასკვნითი დებულებები

16.1. წინამდებარე წესს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი ბრძანებით.
16.2. წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების განხორციელება შესაძლებელია დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.